არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დამფუძნებლის გადაწყვეტილება

ქ. თბილისი

31 იანვარი, 2018 წელი

სრულიად საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ (შემდგომში - ,,საქართველოს საპატრიარქო", იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი N1, გადასახადის გადამხდელის N204395537), რომელსაც წარმოვადგენ მე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (სამოქალაქო სახელი ირაკლი შიოლაშვილი, პ/ნ 01015004723, დაბადების თარიღი: 04.12.1933 წელი, მცხოვრები მისამართზე: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი N1), როგორც ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (რეგისტრირებული 03.12.2007 წელი, ს/კ 205233022) დამფუძნებელმა მივიღე ერთპიროვნული გადაწყვეტილება:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ,,საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" 2013 წლის 11 ივლისის წესდება.
2. თანდართული სახით დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების ახალი რედაქცია (დანართი N1).
3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საქართველოს საპატრიარქო

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

(სამოქალაქო სახელი ირაკლი შიოლაშვილი)

...ოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180095279
...ოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.01.2018 წ
...ოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
...ოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	57341502071318

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას თვრამეტი წლის **ოცდათერთმეტ იანვარს** მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ **ირაკლი შიოლაშვილის** (დაბ. 04.12.1933წ. მისამართი: თბილისი სიონის ქ. N4; პირადი #01015004723) **ხელმოწერის ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად.

მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: თბილისი, ერეკლე II მოედანი, #1-ში.

სანოტარო საზღაური – 6 (ექვსი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, 5 (ხუთი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ამავე დადგენილების მუხლი 34, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 14.98 (თოთხმეტი და 98) ლარი.

ნოტარიუსი /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28/2

GEORGIA * 01008006210

დანართი N1

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის
სახელით ვამტკიცებ

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის

წესდება (ახალი რედაქცია)

თბილისი 2018 წელი 31 იანვარი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდება (ახალი რედაქცია)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი (შემდგომში - „უნივერსიტეტი") წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
2. უნივერსიტეტი არ არის წევრობაზე დაფუძნებული იურიდიული პირი. იგი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.
3. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
4. საზოგადოების სახელწოდება: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი.
5. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
6. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი N53ა.
7. უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@sangu.edu.ge.
8. საკითხები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის უნივერსიტეტის წესდებით, რეგულირდება შიდა საუნივერსიტეტო აქტებით.

მუხლი 2. უნივერსიტეტის დამფუძნებელი

უნივერსიტეტის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია (იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი N1, გადასახადის გადამხდელის N204395537) რომელსაც წარმოადგენს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II (სამოქალაქო სახელი: ირაკლი შიოლაშვილი, პ/ნ 01015004723, დაბადების თარიღი: 04.12.1933 წელი, მცხოვრები: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი N1).

მუხლი 3. უნივერსიტეტის საქმიანობის მიზანი

1. უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება. უნივერსიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ არის მითითებული ამ წესდებაში.
2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მართვა

უნივერსიტეტის უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელი. იგი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს უნივერსიტეტის მართვასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. დამფუძნებლის გადაწყვეტილება ფორმდება წერილობითი ფორმით.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

1. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლება აქვს დირექტორს - დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს (შემდგომში „დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი"). უნივერსიტეტის დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელია - სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მეუფე იაკობი (სამოქალაქო სახელი: კონსტანტინე იაკობიშვილი პ/ნ 01009002314, დაბადების ადგილი: ქ. თბილისი, დაბადების თარიღი: 01.03.1962, საცხოვრებელი ადგილის მისამართი: ქ. თბილისი, ერეკლე II-ის მოედანი N1), რომელიც ამავდროულად არის უნივერსიტეტის სულიერი მოძღვარი. დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დამფუძნებელი განუსაზღვრელი ვადით.

2. დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი - ქორეპისკოპოსი:

ა) ასრულებს დამფუძნებლის მითითებებს და სარგებლობს ყველა იმ უფლებამოსილებით, რაც უნივერსიტეტის დამფუძნებელს ენიჭება უნივერსიტეტის მიმართ;

ბ) დამფუძნებელს წარუდგენს რექტორის კანდიდატურას და მასთან აფორმებს შრომის ხელშეკრულებას;

გ) ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - კანცლერს და მასთან აფორმებს შრომის ხელშეკრულებას;

დ) ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის მონიტორინგის მენეჯერს და მასთან აფორმებს შრომის ხელშეკრულებას;

ე) გამოსცემს შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ვ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის ბიუჯეტს და კონტროლს უწევს მის აღსრულებას;

ზ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს;

თ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას, სახელფასო ბადეს და საშტატო განრიგს (როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური პერსონალისათვის);

ი) ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს და საქმისწარმოების წესს;

კ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტების შრომის ანაზღაურების ოდენობას;

ლ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს სწავლის გადასახადის ოდენობას;

მ) ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების დატვირთვის ზღვრულ ოდენობას;

ნ) ქმნის მუდმივ და დროებით სტრუქტურულ ერთეულებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;

ო) ამტკიცებს სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების /შეწყვეტის/მობილობის/შიდა მობილობის/კრედიტების აღიარების წესებს, ასევე ამტკიცებს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობასთან და მართვასთან დაკავშირებით ნებისმიერ წესსა და დებულებას, მათ შორის სასწავლო პროცესის

მარეგულირებელ წესს, რომელშიც მოცემულია სტუდენტის უფლებებისა და მოვალეობების მომწესრიგებელი დებულებებიც;
პ) განიხილავს უნივერსიტეტში შემოსულ წინადადებებს, განცხადებებსა და საჩივრებს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს;
ჟ) წარმოადგენს უნივერსიტეტს მესამე პირებთან სამართლებრივ ურთიერთობაში, რომლის დროსაც ის მოქმედებს ერთპიროვნულად და მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეუზღუდავია;
რ) დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს და ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
ს) რექტორის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამის თანამშრომლებს და მათთან აფორმებს ხელშეკრულებებს;
ტ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის კომპეტენციის ფარგლებში განხორციელებული წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შესაბამის თანამშრომლებს და მათთან აფორმებს ხელშეკრულებებს;
უ) უფლებამოსილია, თანამდებობაზე დანიშნოს ნებისმიერი თანამშრომელი, თუ წარდგენილ (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) კანდიდატურას შეუსაბამოდ მიიჩნევს;
ფ) უფლებამოსილია გაათავისუფლოს ნებისმიერი თანამშრომელი, მიუხედავად ამ წესდების სხვა დებულებებით თუ შიდა საუნივერსიტეტო აქტებით განსაზღვრული შესაძლო სხვაგვარი წესისა;
ქ) ამტკიცებს უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და გათავისუფლების წესს, აკადემიური თანამდებობის დაკავებისთვის საუნივერსიტეტო მოხოვნებს, არჩევის ვადებს. დადგენილი წესის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიური თანამდებობის პირებს და აფორმებს შესაბამის ხელშეკრულებებს; ამტკიცებს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ აკადემიური თანამდებობების დაკავების წესსა და პროცედურას;
ღ) ამტკიცებს უნივერსიტეტის საკადრო პოლიტიკას;
ყ) ამტკიცებს უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსს, რომელიც მოიცავს სტუდენტის დისციპლინურ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებსაც;
შ) ქმნის დროებით კომისიებს, სამუშაო ჯგუფებს;
ჩ) ამტკიცებს ნებისმიერ წესს და პროცედურას, რომელიც აუცილებელია საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად;
ც) უფლებამოსილია, მოახდინოს ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ინიცირება და დადგენილი წესის შესაბამისად დაამტკიცოს საგანმანათლებლო პროგრამა;
ძ) უფლებამოსილია, რექტორის ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის არყოფნის შემთხვევაში, განსაზღვროს მათი უფლებამოსილების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი;
წ) უფლებამოსილია, განახორციელოს ამ წესდებით განსაზღვრული უფლებამოსილებების სრული ან ნაწილობრივი დელეგირება;
ჭ) უფლებამოსილია, განახორციელოს ამ წესდებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებაც და აგრეთვე ისეთი უფლებამოსილებაც, რომელიც არ არის

გათვალისწინებული ამ წესდებით, მაგრამ გამომდინარეობს უნივერსიტეტის საჭიროებიდან.

მუხლი 6. რექტორი

1. უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო და აკადემიურ სფეროს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის რექტორი, რომელსაც დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის წარდგინებით ნიშნავს/ათავისუფლებს დამფუძნებელი.

2. რექტორი:

ა) წარმოადგენს უნივერსიტეტს აკადემიურ და სამეცნიერო სფეროში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ და უნივერსიტეტის სახელით დებს მემორანდუმებს;

ბ) გასცემს განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის შესაბამისად;

გ) სკოლის წარდგინებით, დადგენილი წესის შესაბამისად, ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სასწავლო პროცესთან დაკავშირებით გამოსცემს შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

ე) სკოლის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - კანცლერის წარდგინებით ამტკიცებს მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას, კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის;

ვ) ქმნის კომისიებს და სამუშაო ჯგუფებს;

ზ) დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დასანიშნად/გასათავისუფლებლად წარუდგენს თანამშრომელთა შესაბამის კანდიდატურებს;

თ) ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს;

ი) ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და შიდა საუნივერსიტეტო აქტებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

3. რექტორთან იქმნება სათათბირო ორგანო - აკადემიური საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს რექტორი. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებით.

მუხლი 7. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი

1. უნივერსიტეტის ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროს, ასევე საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობას განაგებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი.

2. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი - კანცლერი:

ა) ასრულებს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ბრძანებებს;

ბ) დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად უნივერსიტეტის სახელით დებს ფინანსურ გარიგებებს;

გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივ აქტს - ბრძანებას;

დ) დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, დასანიშნად/გასათავისუფლებლად წარუდგენს თანამშრომელთა შესაბამის კანდიდატურებს;

ე) შეიმუშავებს უნივერსიტეტის სტრუქტურის, საშტატო განრიგის, სახელფასო ბადისა და ბიუჯეტის პროექტებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს;
ვ) ამზადებს შესრულებული სამუშაოს ყოველწლიურ ანგარიშს;
ზ) ამზადებს და დამფუძნებლის სრულუფლებიან წარმომადგენელს დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის შინაგანაწესს და საქმისწარმოების წესს;
თ) პასუხისმგებელია უნივერსიტეტის ფინანსური და ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
ი) მესამე პირებთან დებს ფინანსური ხასიათის გარიგებებს;
კ) აფორმებს ხელშეკრულებებს (სტუდენტთა და სხვა ჩასარიცხი პირების) საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ;
ლ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს, რომელიც გამომდინარეობს საფინანსო-ეკონომიკური და მატერიალური სფეროდან;
მ) ახორციელებს წინამდებარე წესდებითა და შიდა საუნივერსიტეტო აქტებით გათვალისწინებულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 8. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული
უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულია სკოლა, რომელსაც ხელმძღვანელობს დეკანი. სკოლა უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში. სტუდენტთათვის კვალიფიკაციის მინიჭებას უზრუნველყოფს სკოლის საბჭო. სკოლის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება სკოლის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს დამფუძნებლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი.

მუხლი 9. სადისერტაციო საბჭო
დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანოა სადისერტაციო საბჭო, რომლის უფლებამოსილება და საქმიანობის წესი განისაზღვრება სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 10. უნივერსიტეტის ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია
1. უნივერსიტეტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელი. უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს დამფუძნებლის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმაც.
2. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
3. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
4. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს უნივერსიტეტის დამფუძნებელი. უნივერსიტეტის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

5. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება უნივერსიტეტის დამფუძნებელს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.

6. თუ უნივერსიტეტი არ განსაზღვრავს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირს, სასამართლო ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი.

მუხლი 11. უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროები

უნივერსიტეტის დაფინანსების წყაროებია:

ა) სწავლის საფასური, რომელიც იფარება სახელმწიფო სასწავლო გრანტით, სტუდენტის მიერ ან სხვა კანონიერი წყაროებიდან;

ბ) კერძო გრანტის, შემოწირულობის სახით ან ანდერძით მიღებული შემოსავლები;

გ) სამეცნიერო გრანტი;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა, მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება, მისი ახალი რედაქცია, ნებისმიერი ცვლილება თუ დამატება ძალაში შედის დამფუძნებლის მიერ ხელმოწერის მომენტიდან. წესდებაში ცვლილების განხორციელებაზე უფლებამოსილია დამფუძნებელი.

2. თუ ამ წესდების რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

3. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

დამფუძნებელი:

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია წარმოდგენილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II – ის სახით (სამოქალაქო სახელი ირაკლი შიოლაშვილი)

/_____/

...ო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N180095269
...ტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	31.01.2018 წ
...ტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
...ტარიუსი	ნინო ხოფერია
...ნოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 28/2
...ანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	22755687857318

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო

ორიათას თვრამეტი წლის **ოცდათერთმეტ იანვარს** მე, ნოტარიუსი ნინო ხოფერია, ვამოწმებ **ირაკლი შიოლაშვილის** (დაბ. 04.12.1933წ. მისამართი: თბილისი სიონის ქ. N4; პირადი #01015004723) **ხელმოწერის ნამდვილობას.** ხელმოწერა შესრულებულია მის მიერ ნოტარიუსის თანდასწრებით. ხელმომწერს განემარტა, რომ ხელისმოწერით დოკუმენტის შინაარსი არ მოწმდება, რაზედაც მან განაცხადა თანხმობა. დოკუმენტზე ხელმომწერის პირადობა დადგენილია, ქმედუნარიანობა შემოწმებულია. დოკუმენტი წარმოდგენილია სამ ეგზემპლარად.

მოქმედება შესრულდა სანოტარო ბიუროს გარეთ, მისამართზე: თბილისი, ერეკლე II მოედანი, #1-ში.

სანოტარო საზღაური – 6 (ექვსი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31, 5 (ხუთი) ლარი სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული სანოტარო მოქმედებისათვის ამავე დადგენილების მუხლი 34, აგრეთვე დღგ თანახმად საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, 2 (ორი) ლარი დღგ-ს ჩათვლით, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად, სულ 14.98 (თოთხმეტი და 98) ლარი.

ნოტარიუსი /ნინო ხოფერია/
ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #28/2